



ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შაბლონი

ღია მმართველობის სტრატეგიული ხედვის შესავსები ფორმა

სამოქმედო გეგმის ამ ნაწილში მოცემულია სტრატეგიული ხედვა, რომლის საფუძველზეც იხელმძღვანელებს მუნიციპალიტეტი სამოქმედო გეგმის პერიოდის განმავლობაში. სტრატეგიული ხედვა უნდა ემყარებოდეს პოლიტიკის პრინციპებს, მიზნად უნდა ისახავდეს გრძელვადიანი ასევე საშუალოვადიანი შედეგების განსაზღვრას.

ქვემოთ მოცემულია ფორმის ნიმუში, თანდართული შესაბამისი შესავსები ველებით და რომელთა გამოყენება შეგიძლიათ სამოქმედო გეგმის ამ ნაწილის შესადგენად. გთხოვთ, დარწმუნდით, რომ აკმაყოფილებთ თითოეული ტექსტისთვის განსაზღვრული სიმბოლოების ლიმიტს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საბოლოო სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად, OGP Local- ის მიერ მოწოდებული პლატფორმის საშუალებით.

1. ხანგრძლივობა

1.1. მოქმედი ადმინისტრაციის ვადის დასასრული (თვე/წელი)

1.2. სამოქმედო გეგმის ვადის დასასრული (თვე/წელი)

(მთავრობის ვადის დასრულებამდე ორი თვით ადრე)





2. წინასიტყვაობა

წინასიტყვაობა შესაძლებელია დაიწეროს ერთობლივად ან ცალკე, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ან დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის/ფორუმის მიერ. ის უნდა მოიცავდეს გეგმის ამბიციას და იმის აღწერას, თუ როგორ გეგმავენ ერთობლივად მის განხორციელებასა და მონიტორინგს.

მაქს. 2000 სიმბოლო

ოზურგეთი ფართოდ არის აღიარებული, როგორც ადგილობრივი რეფორმატორი, რომელიც ემსახურება ღია და გამჭვირვალე მმართველობის პრინციპების დაცვას. ოზურგეთი იყო ერთ – ერთი პირველი ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც შეუერთდა OGP საქართველოს ეროვნულ პროცესს 2016 წელს და აიღო ვალდებულება, რათა გაეძლიერებინა ღია მმართველობა ადგილობრივ დონეზე. მას შემდეგ, ოზურგეთი მონაწილეობას იღებდა OGP-ის ბოლო ორი ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. შედეგად, ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში ოზურგეთი გახდა ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტი თავისი გრძელვადიანი ხედვის, ერთგულებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის გაუმჯობესების უწყვეტი მცდელობის გამო.

ამის გათვალისწინებით, გვსურს გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა მოქალაქეთა ჩართულობის მდგრადი შედეგების მისაღწევად, მივიღოთ ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფს გამჭვირვალეობას და კორუფციასთან ბრძოლას და გააუმჯობესებს საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებას 2021 წლის სამოქმედო გეგმის ინიცირებით OGP Local- ის ფარგლებში.

OGP საქართველოს პროცესში ჩართვით, ოზურგეთმა უკვე შექმნა აქტიური თანამშრომლობის პლატფორმა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რათა უზრუნველყოს OGP პრინციპების განხორციელება პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. როგორც მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის სურვილის შემდგომი გაგრძელება, ჩვენი მიზანია შევიმუშავოთ და განვახორციელოთ OGP-ის ადგილობრივი სამოქმედო გეგმა გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან, ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრთან "პროგრესის სახლი" და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირთან ერთად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს OGP ღირებულებებისა და პრინციპების გაუმჯობესებაზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შეუერთდა OGP-ის ადგილობრივ პროგრამას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ OGP პროცესში.

OGP-ის პრინციპების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ჩვენი მონდომება გააძლიერებს და ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტს OGP-ს ღირებულებებისა და პრინციპების პოპულარიზაციაში, შესაბამისად, გაუმჯობესდება ინკლუზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული, ადგილობრივი მმართველობა.



3. ატვირთვით იურისდიქციის ხელმძღვანელის შესავალი წერილი, თუ ეს შესაძლებელია.

ეს ვარიანტი ხელმისაწვდომია ონლაინ ფორმატში.

4. ღია მმართველობის გამოწვევები, შესაძლებლობები და სტრატეგიული ხედვა.

ამ ქვესექციაში დეტალურად ჩამოაყალიბეთ ღია მმართველობის სტრატეგიული ხედვა თქვენს ადგილობრივ მხარეში, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოთ სამოქმედო გეგმის პერიოდის განმავლობაში

4.1. წარმოადგინეთ ღია მმართველობის გრძელვადიანი ხედვა თქვენი კონტექსტისა და იურისდიქციის გათვალისწინებით
მაქს. 1000 სიმბოლო

ოზურგეთის მიზანია, დამკვიდრდეს, როგორც ღია მთავრობაზე ორიენტირებული თვითმმართველობის მოდელი. მუნიციპალიტეტის წინა წარმატების შემდეგ, ისეთი მიმართულებით, როგორცაა ციფრული მმართველობის დანერგვა, მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება, მოქალაქეთა მონაწილეობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დანამდვილებით გვჯერა, რომ ჩვენი მუდმივი ძალისხმევა დაგვეხმარება ღია მმართველობის მიზნების მიღწევაში.

კერძოდ, წინსვლისათვის, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

1. აღმოფხვრას კორუფციული რისკები და გააძლიეროს ანტიკორუფციული მექანიზმები ადგილობრივ დონეზე.
2. განამტკიცოს მოქალაქეთა ჩართულობა და გადაწყვეტილების მიღების ინკლუზიური პროცესი.
3. გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და უზრუნველყოს საჯარო სერვისის თანაბარი ხელმისაწვდომობა საზოგადოების მარგინალიზებული თემებისთვის.
4. გააუმჯობესოს ადგილობრივი ფინანსების მართვის პროცესები ადგილობრივ დონეზე.

4.2. რა მიღწევები აქვს ღია მმართველობაში (მაგ. ბოლოდროინდელი ღია მთავრობის რეფორმები)?

მაქს. 1500 სიმბოლო

ოზურგეთს აქვს ინოვაციური ინიციატივების განხორციელების დიდი გამოცდილება ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით. ამ უკანასკნელმა საფუძველი ჩაუყარა იმ ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავდა გამჭვირვალობის განმტკიცებას, საზოგადოების ჩართულობას, მომსახურების ხარისხიან მიწოდებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ჩვენს მმართველობაში დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით. ესენია:



- **გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიის შემუშავება, მონიტორინგის და შეფასების კომპლექსური მეთოდოლოგიასთან ერთად**

OGP-ის მიმდინარე ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ავიღეთ ვალდებულება და შევიმუშავეთ გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, თანდართული კომპლექსური მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიითურთ. ეს უკანასკნელი შემუშავდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, OGP სამდივნოს და USAID/GGI მხარდაჭერით. ეს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი ეტაპია გამჭვირვალობისა და დემოკრატიული მმართველობის სტანდარტების გაუმჯობესებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა სრულყოფილი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, რომლებიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და შესაძლებელი იქნება მათი სამომავლოდ გამოყენება, გარდა ამისა, თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთად მუშაობის მზაობამ შესაძლებლობა მოგვცა შემოგველო მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც, სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის შეფასების ინსტრუმენტისა და ადრეული შედეგების შესახებ ანგარიშგების საშუალებით მოახდენს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ინსტიტუციონალიზაციას ადგილობრივ დონეზე.

- **სამოქალაქო მონაწილეობის პლატფორმების ჩამოყალიბება და გამჭვირვალობის გაძლიერება**

ოზურგეთმა უზრუნველყო მოქალაქეთა ჩართულობა და გამჭვირვალობა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირებით მის ვებ-გვერდზე. ჩართულობის გაძლიერების მიზნით, ჩვენ დავამატეთ კომენტარების განყოფილება, სადაც მომხმარებლებს გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის კითხვების დასმისა და კომენტარების გაკეთება შეუძლიათ. გარდა ამისა, მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ თემატური SMS შეტყობინებები ასამბლეის სესიებთან დაკავშირებით მათ მიერ არჩეული თემატიკის შესაბამისად.

- **პეტიციის ონლაინ პლატფორმის შემოღება**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დანერგა ონლაინ პეტიციის სისტემა ციფრული სამოქალაქო სივრცის შესაქმნელად. მოქალაქეთა უკუკავშირის საფუძველზე, გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეიცვალა პროცედურები და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით პეტიციის დასარეგისტრირებლად აუცილებელი ხელმოწერების რაოდენობა შემცირდა. მცირე მოსახლეობის მიუხედავად, 2018 წლიდან 2020 წლამდე 24 პეტიცია იქნა წარდგენილი.



- **თანამონაწილეობით ბიუჯეტის ონლაინ პლატფორმის შექმნა.**

შექმნა თანამონაწილეობითი ბიუჯეტის ონლაინ პლატფორმა, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და ონლაინ ვაუჩერების საშუალებით დააფინანსონ ქალაქ ოზურგეთის ინფრასტრუქტურული პროექტები (თითო მოქალაქეზე 1 ვაუჩერი (100 ლარი) მუნიციპალური ბიუჯეტიდან). ამ ეტაპზე მოქალაქეთა ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი 40% -მდე აღწევს.

- **ადგილობრივ დონეზე ცნობიერების ამაღლება ღია მმართველობის შესახებ**

აქტიურად ვცდილობთ მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას ადგილობრივი მმართველობის და OGP ლიტერატურის შესახებ, რათა მივაწოდოთ ინფორმაცია თემებში ადგილობრივი მმართველობისა და არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების შესახებ. ჩვენმა მუნიციპალიტეტმა შექმნა სპეციალური ვებრესურსი, რომელიც აერთიანებს ყველა არსებულ ინფორმაციას ერთ პლატფორმაზე, რომელიც ხელმისაწვდომია სხვა მუნიციპალიტეტების ვებსაიტებიდან.

4.3. რა არის იურისდიქციის მიმდინარე გამოწვევები/სფეროები ღია მმართველობის გაუმჯობესების საკითხში?

მაქს. 1000 სიმბოლო

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების მანძილზე, კორუფციასთან ბრძოლის კუთხით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით, საქართველოს ღია მმართველობის პროცესში მრავალი ხარვეზი იქნა გამოვლენილი ადგილობრივ დონეზე. ამრიგად, 2016 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გასცა რეკომენდაცია, რომ საქართველომ გადადგას ანტიკორუფციული ნაბიჯები ადგილობრივ დონეზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკისა და ანტიკორუფციული რეგულაციების განხორციელების მიზნით. რეკომენდაციის საპასუხოდ, ოზურგეთი მზად არის შემდგომი ზომები მიიღოს კორუფციული რისკების აღმოსაფხვრელად და გააძლიეროს ანტიკორუფციული მექანიზმები ადგილობრივ დონეზე.

კიდევ ერთი გამოწვევა ეხება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებას, რომელიც პასუხობს COVID-19-თან დაკავშირებულ საგანგებო სიტუაციას. ციფრული მმართველობის გეგმის ფარგლებში, ოზურგეთი აცნობიერებს მთავრობასა და მოქალაქეებს შორის დიალოგის მნიშვნელობას, რათა ინფორმაცია გახადოს უფრო ხელმისაწვდომი და გააუმჯობესოს საჯარო მომსახურების მიწოდების ხარისხი და, ამავე დროს, გაუმკლავდეს COVID-19-თან დაკავშირებულ საგანგებო სიტუაციებს მუნიციპალიტეტში. ამრიგად, ვაცნობიერებთ ყოვლისმომცველი კვლევის ჩატარების



მნიშვნელობას ადგილობრივი საჭიროებების შესასწავლად და კვლევის შედეგებზე დაფუძნებით, COVID-19-ით გამოწვეული გლობალური პანდემის საპასუხოდ "Open Response + Open recovery"-ის შესაბამისად განვახორციელოთ სერვისების გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტის საჯარო ფინანსების მართვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთი ახორციელებს სამოქალაქო და მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვას ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ბიუჯეტის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, საჯარო ფინანსების ეფექტური მართვა კვლავ რჩება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად და საჭიროებს განვითარებას, რათა ითვალისწინებდეს მეტ ინკლუზიურ და აქტიურ სამოქალაქო ჩართულობას.

4.4. ჩამოაყალიბეთ ღია მმართველობის საშუალოვადიანი გეგმა, რომლის მიღწევაც სურს მთავრობას?

მაქს. 1000 სიმბოლო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიზნად ისახავს შემდეგი საშუალოვადიანი გეგმის შესრულებას, ესენია:

1. გაძლიერდეს ინკლუზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული და გამჭვირვალე საჯარო სერვისების მიწოდება და მარგინალიზებული თემების საჭიროებების შესწავლის შედეგად, მათთვის არსებული საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა.
2. განხორციელდეს კორუფციის რისკის შეფასების სისტემის ინსტიტუციონალიზაცია ადგილობრივ დონეზე.
3. სამოქალაქო ჩართულობის განმტკიცება მუნიციპალიტეტში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული დოკუმენტისა და პროგრამის ბიუჯეტის შემუშავების გზით.

საშუალოვადიანი მიზნები შეესაბამება მუნიციპალიტეტის გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას და პასუხობს წინა სექციაში აღნიშნულ ღია მმართველობის კუთხით არსებულ გამოწვევებს.

4.5. როგორ უწყობს ხელს ეს სამოქმედო გეგმა ღია მმართველობის სტრატეგიული ხედვის განხორციელებას?

მაქს. 1000 სიმბოლო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მზადაა შეასრულოს შემდეგი სამი ვალდებულება OGP- ის 2021 წლის ადგილობრივი სამოქმედო გეგმისთვის:

- | | | | |
|------------------------|------------------|----------------------|-----------------|
| 1. უზრუნველყოს | საჯარო | სერვისების | თანაბარი |
| ხელმისაწვდომობა | მოწყვლადი | ჯგუფებისათვის | და |



გაუმჯობესოს მათ საჭიროებებზე რეაგირება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ჩაატაროს ყოვლისმომცველი კვლევა, რათა შეისწავლოს COVID-19 პანდემიის გავლენა მოწყვლად ჯგუფებზე და ასევე თუ რამდენად პასუხობს ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევა და საჯარო სამსახურები მათ საჭიროებებს. კვლევის შედეგების საფუძველზე, მოწყვლადი ჯგუფებისთვის საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდეს სამოქმედო გეგმა.

2. კორუფციის რისკების მართვის სისტემის გაუმჯობესება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება ადგილობრივი კონტექსტის სპეციფიკის გათვალისწინებით და შემდგომში, კორუფციული რისკების შეფასების განხორციელება.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო ფინანსების მართვის პროცესების გაუმჯობესება ინკლუზიური და აქტიური ჩართულობით.

მუნიციპალიტეტისათვის 2022-2025 ფისკალური წლების პრიორიტეტული დოკუმენტისა და 2020 ფისკალური წლის პროგრამის ბიუჯეტის განსაზღვრა სამოქალაქო საზოგადოებასთან საჯარო კონსულტაციების შედეგად, ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოს შემუშავება 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

4.6. როგორ უწყობს ხელს ღია მთავრობის სტრატეგიული ხედვა ამჟამინდელი ადმინისტრაციის საერთო პოლიტიკის მიზნების განხორციელებას?
მაქს. 1000 სიმბოლო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ამბიციური ღია მმართველობის მისწრაფებების შესაბამისად, OGP-ის 2021 წლის ადგილობრივი სამოქმედო გეგმა კიდევ უფრო დაასტიმულირებს ოზურგეთის მმართველობის დღის წესრიგს, მუნიციპალიტეტში OGP-ს ღირებულებებისა და პრინციპების პოპულარიზაციის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ, მოქალაქეებზე ორიენტირებულ ადგილობრივ მმართველობას. კერძოდ, ხედვა ასახავს ოზურგეთის მისწრაფებებს გაუმჯობესოს საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი, რათა სერვისები იყოს ხელმისაწვდომი ყველა მოქალაქისთვის, განსაკუთრებით კი მარგინალიზებული ჯგუფებისთვის. ასევე, აღმოფხვრას კორუფციული რისკები და გაუმჯობესოს სახელმწიფო ფინანსების მართვა მუნიციპალიტეტში.



5. თანამონაწილეობა და კოორდინაცია: ღია მმართველობის სტრატეგიული ხედვა და OGP სამოქმედო გეგმა.

5.1. გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის წამყვანი ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან OGP სამოქმედო გეგმის შესრულებაზე?
მაქს. 1000 სიმბოლო

დაწესებულება, სააგენტო, სამინისტროს დეპარტამენტი
ოზურგეთის მუნიციპალური მერია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ ზედა ველი

5.2. რა სახის ინსტიტუციური ღონისძიებები არსებობს სახელმწიფო უწყებებსა და დეპარტამენტებს შორის კოორდინაციისთვის, OGP სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით?
მაქს. 1000 სიმბოლო

2021 წლის OGP-ის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს უხელმძღვანელებენ ოზურგეთის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო. გარდა ამისა, უკეთესი კოორდინაციისთვის, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს 2021 წლის OGP ადგილობრივ სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს. სამუშაო ჯგუფი შედგება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, მისი დაქვემდებარებული იურიდიული პირების, სამოქალაქო მრჩეველთა და გენდერის საბჭოსა და ასევე, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. უფრო მეტიც, სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეები იქნებიან ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი. იგი იმოქმედებს, როგორც საკოორდინაციო მექანიზმი, სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით. შესაბამისი სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს შეხვედრების სიხშირესა და სხვა ს პროცედურულ წესებს.

5.3. რა სახის სივრცეები გამოიყენეთ ან შექმენით მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ამ სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით?
მიუთითეთ როგორც ფიზიკური, ასევე ონლაინ სივრცეები.
მაქს. 1000 სიმბოლო

2016 წლიდან, OGP პროცესში ჩართვის შედეგად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უკვე დაამყარა აქტიური თანამშრომლობა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი, ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი "პროგრესის სახლი" და დემოკრატიული განვითარების კავშირი, ასევე, განვითარების პარტნიორები, როგორიცაა USAID GGI, რათა უზრუნველყოფილი იყოს OGP ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები მუნიციპალიტეტში სამოქალაქო საზოგადოებრივ



ორგანიზაციებთან თუ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ახალი სამუშაო ჯგუფის შექმნა მეტად შეუწყობს ხელს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებასა და გაძლიერებას.

და ბოლოს, OGP-ის ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში, ოზურგეთის სამოქმედო გეგმის თანაშემოქმედებითობის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის უფრო ფართო თანამონაწილეობისა და ჩართულობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, 14 დღის ვადით გამოაქვეყნა სტრატეგიული ხედვა და სამოქმედო გეგმა საჯაროდ, ოფიციალურ გვერდზე. საჯარო კომენტარებისთვის განკუთვლილი 14 დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მოაწყო საჯარო განხილვას, საკრებულოს მიერ სტრატეგიული ხედვის და სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე.

უფრო მეტიც, სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს მთავარ საკოორდინაციო მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას ითანამშრომლონ რეგულარულად, რათა ერთად, შეიმუშავონ და განახორციელონ 2021 წლის OGP-ის ადგილობრივი სამოქმედო გეგმა.

5.4. რა ზომები გაატარეთ ამ სივრცეებში წარმომადგენლობის მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად (დაუცველი ან მარგინალური მოსახლეობა)?

მაქს. 1000 სიმბოლო

ამჟამად, ოზურგეთში აქტიურია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იცავენ მარგინალური თემების ინტერესებს ადგილობრივ დონეზე. გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფში მოწვეულნი იქნებიან სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები რათა უზრუნველყონ მარგინალიზებული თემების ჩართულობა.

OGP-ის ადგილობრივი გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ერთობლივი მუშაობა დაგვენმარა დაგვედგინა ძირითადი გამოწვევები და მიზნის მისაღწევად და რეფორმების განსახორციელებლად ჩაგვერთო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. გარდა ამისა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია - "საქველმოქმედო ასოციაცია-გურია" მოწვეული იქნება OGP სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. შედეგად, მარგინალური ჯგუფები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პოლიტიკის შემუშავებაში ამ ჯგუფების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამრიგად, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეების როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.



5.5. ვინ მონაწილეობდა აღნიშნულ სივრცეებში?

მიუთითეთ სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობდნენ ერთობლივი შექმნის პროცესში.

მაქს. 1000 სიმბოლო

საწყის ეტაპზე, 2021 წლის მარტში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დააარსა დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ადგილობრივი ხელისუფლებისა და ძირითადი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს. სამუშაო გეგმის შემუშავების პროცესში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ორი კონსულტაცია გამართა ოზურგეთის საკრებულოს წარმომადგენლებთან, მერიასთან და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან OGP-ის ადგილობრივი სტრატეგიული ხედვისა და 2021 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მოუწოდეს გამოეთქვათ თავიანთი იდეები და რეკომენდაციები ადგილობრივ დონეზე მმართველობის გაუმჯობესების მიზნით. საერთო ჯამში, 16 მონაწილე დაესწრო ორ კონსულტაციას (პირველ შეხვედრაზე ადგილობრივი ხელისუფლების ხუთი წარმომადგენელი და სამი ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელი, ხოლო მეორე შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის სამი წარმომადგენელი და ხუთი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი).

5.6. რამდენმა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ სივრცეებში?

5

5.7. რამდენი შეხვედრა გაიმართა ერთობლივი შექმნის პროცესში?

მიუთითეთ რიცხვი 0-50 მდე.

2

5.8. როგორ გააგრძელებენ სამთავრობო და არასამთავრობო მხარეები თანამშრომლობას სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით?

მაქს. 1000 სიმბოლო

სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს მთავარ მექანიზმს თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად OGP-ის 2021 წლის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. გეგმის განხორციელების პროცესის შესახებ განახლებული ინფორმაციის მისაღებად და სამუშაო ჯგუფის წევრების ინფორმირების მიზნით ჩატარდება რეგულარული შეხვედრები.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი აწარმოებს შეხვედრების აღრიცხვას და საჯაროდ გამოაქვეყნებს შეხვედრის ოქმებს. განხორციელების პროცესის შესახებ ფართო აუდიტორიის ინფორმირების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მერიის ვებგვერდზე ერთიანი,



ციფრული არქივის შექმნას, რომელზეც ხელმისაწვდომი იქნება OGP-ის ადგილობრივი მასალები ელექტრონულად. გარდა ამისა, OGP-ის შესახებ ინფორმაციის უკეთ გაცნობის მიზნით, ოზურგეთი უზრუნველყოფს კომუნიკაციის სხვადასხვა არხების გამოყენებას, როგორებიცაა Facebook, მერიისა და საკრებულოს ვებგვერდები და ა.შ.

6. OGP-ის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

6.1. გთხოვთ, მიუთითოთ მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც თქვენ განსაზღვრეთ ამ გეგმისთვის?

მაქს. 1000 სიმბოლო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აქტიურად ითანამშრომლებს განვითარების პარტნიორ ორგანიზაციებთან, რათა განახორციელოს დამოუკიდებელი, შედეგზე დაფუძნებული მონიტორინგი. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს მონიტორინგის შედეგების ასახვას სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში.

6.2. მიუთითეთ მონიტორინგის განმახორციელებელი დამოუკიდებელი ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია.

მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს დასახელება	პოზიცია	ელ-ფოსტა
სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ, მუნიციპალიტეტი და განვითარების პარტნიორი ორგანიზაციები ერთობლივად შეარჩევენ დამოუკიდებელ შემფასებელს, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს.		
საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ ზედა კელი		

6.3. რა ტიპის ღონისძიებებს გაატარებთ დაინტერესებულ მხარეებთან, ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის განსახილველად?

მაქს. 1000 სიმბოლო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მზად არის ხელი შეუწყოს თანაშემოქმედებითობას (co-creation) პროცესს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:

1. რეგულარული შეხვედრები, როგორც ღონისძიებების განმახორციელებელ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებთან, ასევე, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.
2. ქვეყანაში COVID-19 პანდემიური სიტუაციის შესაბამისად, საჯარო პირისპირ შეხვედრები საზოგადოებასთან OGP-ის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმდინარეობის განსახილველად.
3. რეგულარული შეხვედრები სამოქალაქო ჩართულობის ფუნქციური პლატფორმების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო და დასახლებების საერთო კრება.



4. რეგულარული ცნობიერების ამაღლების კამპანია სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით.

6.4. როგორ შეამოწმებთ განმახორციელებელი სააგენტოების პროგრესს რეგულარულად?

მაქს. 1000 სიმბოლო

სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეები პასუხისმგებელი იქნებიან რეგულარულად უზრუნველყონ სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული ვალდებულებების და ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ღონისძიებების შესრულების პროგრესი, როგორც მერიის, ასევე, საკრებულოს პასუხისმგებელი განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებისგან. სამუშაო ჯგუფი, უკეთესი კოორდინაციის მიზნით, მინიმუმ თვეში ერთხელ შეხვედბა რათა OGP-ის 2021 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი განიხილოს. რეგულარული შეხვედრები უზრუნველყოფს განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელების პროცესში გამოვლენილი გამოწვევების იდენტიფიცირებას და შესაბამისი გადაჭრის გზების ძიებას.

გარდა ამისა, OGP-ის ადგილობრივი, 2021 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგის ორგანოს როლს დამატებით, ოზურგეთის საკრებულო შეასრულებს. საკრებულოს მონაწილეობა პროცესში უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელების მეტ ლეტივიმაციას.

6.5. რა სახით გაუზიარებთ საზოგადოებას მონიტორინგის შედეგებს?

მაქს. 1000 სიმბოლო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელი იქნება საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე და მოსახლეობის ინფორმირებაზე მუნიციპალიტეტში OGP-სთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან ერთად პასუხისმგებელი იქნება შედეგების შესახებ ადგილობრივი საზოგადოების ინფორმირებაზე სხვადასხვა სოციალური მედია პლატფორმების, მუნიციპალიტეტის მერიისა და საბჭოს ვებ-გვერდების გამოყენებით.

გარდა ამისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი შექმნის OGP-ის ციფრულ არქივს, რათა შეაგროვოს და გამოაქვეყნოს ყველა დოკუმენტი ადგილობრივ OGP-ს ვებსაიტზე. OGP-ს ციფრული არქივი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის OGP-სთან დაკავშირებული დოკუმენტთა არქივს, სადაც ინახება ისეთი ინფორმაცია როგორცაა ოქმები საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ, სტრატეგიული ხედვა და სამოქმედო გეგმა, განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, სამუშაო ჯგუფის შეხვედრების შესახებ დეტალური ინფორმაცია და ვალდებულებების შესრულების პროცესის სხვადასხვა დამხმარე დოკუმენტაცია.



ასევე, მარგინალიზებული ჯგუფების, განსაკუთრებით სოფლად მყოფი პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სოფლის რწმუნებულები თავიანთ დღის წესრიგში შეიტანენ OGP- სთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას. ეს ხელს შეუწყობს ინფორმაციის გავრცელებას მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც ინტერნეტი ნაკლებად ხელმისაწვდომია და მოქალაქეები უფრო მეტად ენდობიან ზეპირ-სიტყვიერად გადაცემულ ინფორმაციას.

7. არასამთავრობო დაინტერესებული მხარეების დასახლება

ჩამოთვალეთ არასამთავრობო დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ერთობლივად შექმნის პროცესში და მხარს უჭერენ ამ სამოქმედო გეგმას.

დასახლება	პოზიცია	აფილირებული პირი(არსებობის შემთხვევაში)
გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრი	აღმასრულებელი დირექტორი	თამარ ლლონტი
ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი” პროგრესის სახლი”	გამგეობის თავმჯდომარე აღმასრულებელი დირექტორი	მინდია სალუქვაძე ლევან მჟავანაძე
საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი	აღმასრულებელი დირექტორი	ლევან ხინთიბიძე
საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ ზედა ველი		

8. ატვირთეთ ღია მმართველობის სრული სტრატეგია, თუ ეს შესაძლებელია, ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები.

ეს ვარიანტი ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით.

9. ელექტრონული თანაშექმნის/კონსულტაციის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ ვებ- გვერდის ბმული აქ:

მაქს. 1000 სიმბოლო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ორი კონსულტაცია გამართა ოზურგეთის საკრებულოს წარმომადგენლებთან, მერიასთან და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან OGP-ის 2021 წლის ადგილობრივი სტრატეგიული ხედვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.

1. ახალი ამბები სოციალურ მედიაში:
<https://www.facebook.com/media/set/?vanity=sakrebulo&set=a.3816469858435184>



2.მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

ვებ-გვერდი:

<http://ozurgeti.mun.gov.ge/?p=7437>

გარდა ამისა, საბჭოს განკარგულება, OGP-ს 2021 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ხელმისაწვდომია [აქ](#).